საკანონმდებლო სიახლეები

დეკემბერი-იანვარი, 2021

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996
გვერდი 1

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში
გვერდი 2

სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge

თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge

MOORE
T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
მისამართი: მარჯანიშვილის ქ N6, მწვანე შენობა, 0102, თბილისი, საქართველო

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996, რომელიც გადასახადების ადმინისტრირებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- 2021 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შესული ცვლილების თანახმად საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს შეუჩეროს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტის ელექტრონული ფორმით გამოწერის ან/და დადასტურების უფლება ან/და პირს უარი უთხრას აღნიშნული დოკუმენტების მატერიალური ფორმით გაცემაზე: ა) უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ნიშნების გამოვლენისას. ამ შემთხვევაში, საქმის მასალები გადაიგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოში; ბ) შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნისას (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში); გ) შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე და მის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით."; ამასთან, „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვა უქმდება შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს მოთხოვნით (მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში) ან თუ გამოძიებით არ დადასტურდა უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების ფაქტი, ხოლო „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა უქმდება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით განსაზღვრულ შემთხვევაში;
- დაკორექტირდა 40 პრიმა 1 მუხლი, რომელიც მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის (დანართი №II-086) შევსებას შეეხება, კერძოდ, დაზუსტდა/განისაზღვრა საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოების მიერ მოგების ყოველთვიური დეკლარაციის შევსების წესი;
- 112-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „2021 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.";
- ამოღებული იქნა 104-ე და 105-ე მუხლები, რომლებიც შეეხებოდა სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის დეკლარაციასა და მის შევსებას, ამასთან ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა 93-ე, 95-ე, 98-ედა 99-ე მუხლები, რომლებიც აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშების მიწოდების ნებართვის გაცემას, სანებართვო მოწმობის გაცემას, სათამაშო ბოზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნებსა და სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადახდის ნიშნების გაცემას შეეხება;
- მნიშვნელოვნი და ძირეული ცვლილებები შევიდა ბრძანების მე-3 კარში, რომელიც დამატებული ღირებულების გადასახადს შეეხება. უფრო ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ ამ ბმულზე https://matsne.gov.ge/ka/document/view/5070473?publication=0;

Moore abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

- 2021 წლის თებერვლიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული დამქირავებელი, ვალდებული იქნება დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია ასახოს „დაქირავებულ პირთა რეესტრში“, რომელსაც აწარმოებს შემოსავლების სამსახური. დაქირავებულ პირთა შესახებ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურს წარედგინება ელექტრონულად, შრომითი ურთიერთობის დაწყებამდე/შეწყვეტამდე /შეჩერებამდე, შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) მეშვეობით. „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ აისახება დაქირავებულ პირთა შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია: ა) დაქირავებული პირის პირადი ნომერი, სახელი და გვარი, სქესი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი, მობილური ტელეფონის ნომერი; ბ) სამუშაო განაკვეთი; გ) სტატუსი – აქტიური, შეჩერებული, შეწყვეტილი; დ) სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების თარიღი 2021 წლის 1 მარტამდე დამქირავებელი ვალდებულია 11 პრიმა 2 მუხლის შესაბამისად „დაქირავებულ პირთა რეესტრში“ ელექტრონულად ასახოს 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით 11 პრიმა 2 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად აქტიური და შეჩერებული სტატუსის მქონე დაქირავებული პირების შესახებ ინფორმაცია.

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

- 2021 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა და ამოქმედდა დღგ-ს სრულიად ახალი, მე-6 კარი. ცვლილებების შედეგად სსკ-ის მე-6 კარი, ნაცვლად აქამდე არსებული 6 თავისა და 29 მუხლისა, წარმოდგენილია 9 თავითა და 37 მუხლით და გადმოცემულია სრულიად ახალი არქიტექტონიკით;
- 2021 წლის იანვარში შევიდა შემდეგი ცვლილებები:
  1) 150 ლარიანი საშემოსავლოს შეღავათი დამქირავებლებისთვის. 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში დამქირავებელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) დაქირავებულისთვის გაცემული 750 ლარამდე ხელფასიდან დაკავებული და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, თუ ამ დაქირავებულის მიერ ამავე დამქირავებლისგან 1 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული ხელფასი 1500 ლარს არ აღემატება;
  2) იჯარის/ლიზინგის შემთხვევაში საკასო მეთოდის გამოყენება. პირი უფლებამოსილია 2020 წლის 1 მარტიდან 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის), აგრეთვე 2020 წლის 1 დეკემბრიდან 6 კალენდარული თვის (საანგარიშო პერიოდის) განმავლობაში გაწეული იჯარის/ლიზინგის მომსახურება დღგ-ით დაბეგროს ამ მომსახურების საკომპენსაციო თანხის/თანხის ნაწილის ფაქტობრივად გადახდის საანგარიშო პერიოდში;
  3) შეღავათები ქონების გადასახადში. ქონების გადასახადისგან, რომლის დეკლარირება ამ კოდექსით 2020 ან 2021 წელსაა გათვალისწინებული, გათავისუფლებულია „ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის“ (სეკ 006-2016): ა) 55.1 კოდით (სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები) ან/და 55.2 კოდით (დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება; ბ) 56.1 კოდით (რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება; გ) 56.3 კოდით (სასმელებით მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება; დ) 79 კოდით (ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები) გათვალისწინებულ საქმიანობაში გამოყენებული ქონება
  4) გადავადებული საშემოსავლო გადასახადის შემცირება. გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილია შეიმციროს (ბიუჯეტში არ შეიტანოს) ამ მუხლის 114-ე ნაწილის შესაბამისად გადავადებული საშემოსავლო გადასახადი (საშემოსავლო გადასახადი, რომლის გადახდისთვის ამ კოდექსით განსაზღვრული ვადა გაგრძელებულია), თუ იგი ახორციელებს ამ მუხლის 115-ე ნაწილით გათვალისწინებულ რომელიმე საქმიანობას. ამ ნაწილის გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.
- 136-ე მუხლ2ი განსაზღვრავს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის ორ მეთოდს საკასო და დარიცხვის მეთოდს. 2021 წლის 1-ელ იანვრამდე ამ მუხლის მე-8 ნაწილის თანხმად პირი ვალდებული იყო გამოეყენებინა თავის შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის მიმართ მხოლოდ დარიცხვის მეთოდი, თუ იგი იყო დღგ-ს გადამხდელი. ეს გარკვეულწილად უარყოფითი ნორმა გახლდათ, ვინაიდან თუ მაგალითად, ინდმეწარმე (მცირე მეწარმე) შუა წელში გახდებოდა დღგ-ს გადამხდელი, მთელი წელი, წლის დასაწყისიდან მოყოლებული დარიცხვის მეთოდით უნდა გადაეანგარიშებინა თავისი შემოსავლები და ხარჯები. 2021 წლის 1-ლი იანვრიდან აღნიშნული მოთხოვნა/ნორმა ამოღებული იქნა კოდექსიდან და შესაბამისად ფიზიკურ პირს, რომელიც დღგ-ს გადამხდელია, შეუძლია ხარჯები და შემოსავლები საკასო მეთოდით აღრიცხოს. აღნიშნული ეხება მხოლოდ საგადასახადო მიზნებს და განსაკუთრებით აქტუალურია მეწარმე ან არამეწარმე ფიზიკური პირებისთვის, ვინაიდან ისინი წლიურ საშემოსავლოს დეკლარაციას წარადგენენ.

MOORE

ჩვენს შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის **"Moore Global Network Limited "-** ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.

>114	>260	>579	>30,809
ქვეყანაში	წევრი	ოფისი	თანამშრომელი

MOORE abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.

ჩვენი სერვისები

- აუდიტი და მარწმუნებელი გარიგებები
- საშემფასებლო მომსახურება
- საგადასახადო და იურიდიული მომსახურება
- ბუღალტერია
- ხელფასების ადმინისტრირება

www.moore-georgia.ge

MOORE

We believe the information contained herein to be correct at the time of going to press, but we cannot accept any responsibility for any loss occasioned to any person because of action or refraining from action as a result of any item herein. Printed and published by © Moore Global International Limited. Moore Global International Limited, a company incorporated in accordance with the laws of England, provides no audit or other professional services to clients. Such services are provided solely by member and correspondent firms of Moore Global International Limited in their respective geographic areas. Moore Global International Limited and its member firms are legally distinct and separate entities. They are not and nothing shall be construed to place these entities in the relationship of parents, subsidiaries, partners, joint ventures, or agents. No member firm of Moore Global International Limited has any authority (actual, apparent, implied, or otherwise) to obligate or bind Moore Global International Limited or any other Moore Global International Limited member or correspondent firm in any manner whatsoever.